

1. 2010 წლის ზაფხულში ამიერკავკასიის ყოფილი სამხედრო ოლქის შენობა, ისნის სამხედრო ჰოსპიტალი და გამომცემლობა „სამშობლო“ დაცლილ იქნა იქ თვითნებურად თავშეფარებული და სხვადასხვა პროგრამებით დაკმაყოფილებული დევნილებისგან:

- ა) ოჯახების რაოდენობა იყო 622.
- ბ) 196 ოჯახი უკვე დაკმაყოფილებული იყო საცხოვრებელი ფართით,
- გ) 356 ოჯახმა, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ მიიღო საკომპენსაციო თანხა (10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი);
- დ) არავინ არის მოლოდინში
- ე) 70 არადევნილმა დატოვა ფართი.

2. 2010 წლის ნოემბერში ორი პილოტური განსახლების პროცესი განხორციელდა ჭავჭავაძის ქ. №60, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტსა და ჩარგლის ქ. №67, საქსტანდარტის ყოფილი შენობაში, სადაც ოჯახების რაოდენობა იყო 42. 7 უკვე იყო დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით, 16-მა მიიღო კომპენსაცია, 10-ს სამინისტრომ შესთავაზა ფართი, 9 ოჯახი იყო არადევნილი.

2011 წლის იანვარში ალტერნატიულ ფართში გადაყვანის მიზნით დევნილთა გამოყვანა განხორციელდა შემდეგი ობიექტებიდან: ბაგების სტუდქალაქი (1, 2, 3), საბაჟო დეპარტამენტი, ქერჩის №3, სააღსრულებო დეპარტამენტი, ყაზბეგის №25, ყიფშიძის №34, მიცკევიჩის №29, კანდელაკის №12, ტაშკენტის №5, მუხიანის ხევი, გურამიშვილის №72ბ, 165-ე ბაგა/ბაღი, გურამიშვილის №17, სარაჯიშვილის №1, ზუბალაშვილების №42, ჩხეიძის №8, 185-ე სკოლა.

ოჯახების რაოდენობა იყო 534. 68 ოჯახმა, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ, არჩია მიეღო საკომპენსაციო თანხა (10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი), 247 ოჯახი უკვე დაკმაყოფილებული იყო ან ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით სხვა კომპაქტურ ცენტრში, ან მიღებული ჰქონდა საკომპენსაციო თანხა. სამინისტროს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართში გადავიდა 21 ოჯახი და ისინი ამჟამად განსახლებულები არიან წინწყაროში, ბაკურციხეში, ლაგოდეხსა და გარდაბანში. 193 ოჯახმა

უარი განაცხადა სამინისტროს შეთავაზებაზე, 5 ოჯახი იყო კერძო სექტორიდან.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ)“.

4. ამ ეტაპზე 598 ობიექტია გამოყოფილი 23 268 დევნილი ოჯახის გრძელვადიანი განსახლებისთვის

5. დაცლილი ობიექტებიდან გამოსული 6 077 დევნილი ოჯახი დასახლებულია ზემოთმოყვანილ ობიექტებში.

6. ამ ეტაპზე 598 ობიექტია გამოყოფილი 23 268 დევნილი ოჯახის გრძელვადიანი განსახლებისთვის

7. გორის ობიექტები, რომლებიც არ წარმოადგენს ორგანიზებულ ჩასახლებას:

საბავშვო ბაღები №№1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 12, 13, 16, 17, 18, ატენის სკოლა-ინტერნატი, ატენის, სვენეთის, სკრისა და გარეჯვრის საბავშვო ბაღები.

ზუგდიდის ობიექტებია: საბავშვო ბაღები №№10 და 25, დოსააფი და დასუფთავების გარაჟი.